ცნობის ფურცელი

№ 1936 ხუთშაბათი, 26 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1936

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ"-„მოამბის" ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

ხუთშაბათს, 26 სექტემბერს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12-ზე.

შაბათს, 28 სექტემბერს სოფელ ტირძნისში, გორის მაზრაში, გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი

გიორგი ალექსანდრეს ძის ევაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები, ძმები და დები მიცვალებულისა.

განცხადება

ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე

ამით აცნობებს ბ.ბ. ამომრჩეველთ, რომ მეორე საარჩევნო ნაწილის ხმოსნების არჩევანი დანიშნულია 1902 წლის 26 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე. საარჩევნო კრებაში შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 26 სექტემბრამდე, ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან კენჭის დათვლის დაწყებამდე. (ნ. 3—3)

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია ფიზიოლოგია;	ექიმები:	გ. ვ. სობოლევსკი ე. გ. ფეოდოროვი
მასსაჟის თეორია და ტეხნიკა პრაქტიკული მეცადინეობა	ექიმები:	ა. გ. მალალაშვილი გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—15)

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ემაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—9)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარხუდაროვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2. საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

სადამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—მახვგანი, ბავშვებისა და ქალების აგრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 474. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, ხუთშაბათს, 26 სექტემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ფაუსტი

ოპერა 4 მოქ. და 5 სურ. მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები; არციბაშევისა, დობრჟანსკისა, ბაუერ და სხვანი; ბატონები: დნეპროვსკი, გრადოვი, სერგეევი, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** მ. მ. ბუკშა, **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი. დეკორაციები მხატვრის **ნოვაკისა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, პარასკევს, 27 სექტემბერს, არტისტის **ზონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება **„პიკოვაია დამა".**

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—9)

„მცხეთა-ტფილისის"

ამხანაგობის გამგეობა

ამით აცნობებს თავის წევრებს, რომ 6-ს ოქტომბერს, საღამოს შვიდ საათზე დანიშნულია **საზოგადო კრება** ამხანაგობისა სათავად-აზნაურო **ბანკის** დარბაზში. საგანი კრებისა: 1) სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატების ამორჩევა და 2) მოხსენება განზრახულის სააგარაკო მამულის სყიდვის შესახებ. (2—411—1).

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. უცხოეთის გაზეთებმა ყველამ წერილები უძღვნეს ემილ ზოლას. ზოგიერთი ფრანგული გაზეთი, მაგალითად, „ოროր"-ი, სამგლოვიარო არშიით გამოვიდა. თითქმის ყველა გაზეთები ქებითა და ალტაცებით იხსენიებენ განსვენებულ მწერალს. მხოლოდ ორიოდე ფრანგული გაზეთი სიკვდილს შემდეგაც კი არ უსვენებს ზოლას და ეხლაც ტალახში ჰსვრის იმის სახელს.

„ლიბრ პაროლ"-ი, „ინტრანსიჟან"-ი, „გოლუა" და სხვა ნაციონალური გაზეთები ძლიერ აძაგებენ და ჰლანძღავენ ზოლას. „ლიბრ პაროლ"-ში დრიუმონი სწერს: „არ ვიცი, რამდენად მართალია, რომ ზოლამ თავი მოიკლაო, მაგრამ ის კი კარგად მესმის, რომ ამ კაცს მართლაც და სიცოცხლე უნდა შესძულებოდა. კაცობრიობა, ქვეყნიერობა და საზოგადოება არც ერთს მწერალს არა სძულდა ისე, როგორც ზოლას. ჩვენი დროშის შეურაცხმყოფელი სწორედ იმ დროს მოკვდა, როცა იმისგან დაწყებულ ანტი-პატრიოტულ ბრძოლას თავისი სამარცხვინო ნაყოფი მოაქვსო. „გოლუა" არწმუნებს თავისს მკითხველებს, ზოლას ინსტიქტიურად ყოველნაირი მაღალი გრძნობა და აზრი სძულდაო. როშფორი „იტრანსიჟან"-ში ირწმუნება, მარტო ტრაგიკულმა სიკვდილმა იხსნა ზოლა დავიწყებისაგანაო.

მაგრამ ორიოდე ნაციონალისტურ გაზეთის ძაგება და ლანძღვა ისე ჰქრება ურიცხვ რესპუბლიკელთ გაზეთების ქება-დიდებაში, როგორც „ზღვაში დაცემული წვეთი ნამისა". „ტან"-მა ცნობილ მწერალ კლარეტის წერილი დაჰბეჭდა. კლარეტი სწერს: „ზოლას სახელი არას დროს არ ჰქრება ფრანგულ ლიტერატურის ისტორიაში. როგორც მწერალი, ზოლა ძლიერ ადიდებულ მდინარე წყალს მოგვაგონებთ: მთელი არე-მარე ხელთ უპყრავს. ძმანი მარგერიტნი „მატენ"-ში სწერენ: „ზოლას ტრაგიკული გარდაცვალება ყველა ქვეყნების ლიტერატურას შავით შეჰმოსავს და ბევრს კაცს მოუკლავს გულსა მთელ განათლებულ ქვეყნიერობაზე. ძალა უნებურად გვაგონდება დიდებული კაცის სურათი და მისი მუდმივი სიტყვები: „ამ წუთისოფელში შრომას აქვს ფასი. კაცი ჰქრება, საქმე-კი რჩება. ცდა არას დროს უსარგებლოდ არ ჩაივლის".

რადიკალური გაზეთები განსვენებულის ლიტერატურულ ამაგს აქებენ და თან იმის შესანიშნავ მოქალაქობრივ სიმამაცესაც იხსენიებენ. „რადიკალ"-ი სწერს: „დიდებული მწერალი ზოლა დიდებული მოქალაქეც იყო. სიმამაცემ უფრო მეტი დიდება მოუპოვა, სინემ ძლიერმა ნიჭმა. ამასვე ამბობს „რაპელ"-იც.

სოციალისტური გაზეთები იხსენიებენ, განსვენებული დიდს ყურადღებას აქცევდა სოციალურ საქმესაო. „ოროր"-ი სწერს: არც ერთს ფრანგ მწერალს არ სცოდნია და არ დაუხატნია ისე ძლიერად და ნიჭიერად მუშა ხალხის გაჭირვება და ტანჯვა, როგორც ზოლასაო. „პტი რეპუბლიკ"-ში ჟორესი გულ-მხურვალედ აქებს დიდებულ მწერალს და ამბობს: „ყველა პროლეტარიებს გული შეუწუხდებათ, როცა დიდებულ რომანისტის გარდაცვალების ამბავს გაიგებენ. მით უმეტეს, რომ ზოლა დიდებული მოქალაქეც იყო". „ლანტერნ"-ი სწერს: „ეს დიდებული ბრძენი და დიდებული პოეტი მთელს ქვეყნიერობას აკვირვებდა. რესპუბლიკელებმა ისე უნდა დაასაფლაონ, როგორც დემოკრატიას შეეფერება".

სხვა ქვეყნების გაზეთებიც ძლიერ აქებენ ზოლას. ნამეტნავად იტალიის გაზეთები იხსენიებენ დიდის თანაგრძნობით. რომის პრესის საზოგადოებამ ასეთი დეპეშა გაუგზავნა პარიზის პრესის საზოგადოებას: „იტალიის პრესა საფრანგეთთან ერთად ჰგლოვს ემილ ზოლას, ამ დიდებულ მწერალსა და დიდებულ აზრების მქადაგებელს". ყველა იტალიანური გაზეთები ერთნაირად ადიდებენ ზოლას, როგორც დიდებულ რომანისტს და მამაც მებრძოლს ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის. „იტალია" ამბობს: განსვენებული ნამდვილი დევ-გმირი იყოო.

გერმანული გაზეთები ასეთის ალტაცებით არა სწერენ, მაგრამ ყველანი აღიარებენ, ზოლა ძლიერის ნიჭისა და დაუღალავის შემოქმედობის პატრონი იყოო. ცნობილმა კრიტიკოსმა ე. ცაბელმა „ნაციონალ ცაიტუნგ"-ში ვრცელი წერილი უძღვნა ზოლას. ვენის გაზეთი „ნოიე ფრაიე პრესე" ამბობს: ზოლა დიდებული პოეტიც იყო და ამავე დროს კეთილშობილი, უშიშარი და მამაცი მებრძოლი კაციც იყოო. პრაგის გაზეთი „პოლიტიკი"-ც თითქმის ამასვე ამბობს: „მე-XIX საუკუნეში ზოლასთანა გავლენიანი მწერალი, მძლავრი გონების მქონი და ძლევა-მოსილი მხატვარი ბევრი არა ყოფილაო".

ინგლისური გაზეთები ცოტა სხვა კილოზე სწერენ. ზოლას რომანები ინგლისში უზნეოდ ითვლებოდა; ამიტომ თარგმნის დროს ბევრს ადგილებს გამოსტოვებდნენ ხოლმე. ინგლისური გაზეთები აქებენ ზოლას, როგორც ნიჭიერ რომანისტს, ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მებრძოლს და უმატებენ, ყველა ამ ღირსებისთვის ზოლას წრეს გადასული ნატურალიზმიც-კი „შეენდობაო". „სტანდარდ"-ი ამბობს: „საფრანგეთისათვის ზოლა დიდებული მწერალიც იყო და ამავე დროს დიდებული მოქალაქეც. ამ კაცზე დიდი მსხვერპლი შესწირა სიმართლისა და პატიოსნების საქმეს". „მორნინგ პოსტი", „დეილი გრაფიკ"-ი და სხვა გაზეთები ამბობენ, ზოლას სიკვდილი მარტო საფრანგეთისათვის ხომ არა, მთელი ქვეყნიერობისთვისაც დიდად დასაკლისიაო.

◆ გაზეთები იუწყებიან, ოპორტიუნისტების პარტ-ის წევრნი ძლიერ ეფერებიან ეხლა ვალდეკ-რუსოს და სცდილობენ, პირველ მინისტრად ნამყოფი მელინს დაუახლოვონ. ოპორტიუნისტებს სწადიანთ: თუ ვინიცობაა კომბის სამინისტრო დაემხობა, მელინმა და ვალდეკ-რუსომ ერთად შეადგინონ სამინისტრო. მაგრამ ვალდეკ-რუსოს ჭკუაში არ მოჰსვლია მელინისტების აზრი. ამბობენ, რუსოს ვითომ ეთქვას: „მკვდრის გაცოცხლება არ შემიძლიანო“.

ინგლისი. 16 სექტემბერს ლონდონში ახალ ლორდ მერად (ქალაქის თავად) ბ-ნი მარკ სამუელი აარჩიეს. სამუელი ეროვნებითაც და სარწმუნოებითაც ურიაა. ეს მეექვსედაა, თურმე, რომ ლონდონის ლორდ-მერად ურია აირჩიეს. სამუელი მეგემეთა ამხანაგობის დირექტორია. ამ ამხანაგობის გემებს რუსეთიდან ნავთი მიაქვთ ინდოეთში და შორეულ აღმოსავლეთში და აღმოსავლეთიდან აბრეშუმეულობა და ჩაი მოაქვთ ევროპაში. ეს არჩევანი იმითია საყურადღებო, რომ ამ ჟამად ინგლისში ლაპარაკი დაიწყეს, ურიებს ლონდონში დასახლების უფლება შეუზღუდოთო.

◆ ხმა დადის, ბურის გენერლებს გერმანიის იმპერატორის ნახვა სწადიანთო. ინგლისური იმპერიალისტური გაზეთები ძლიერ შეუწუხებია ამ ამბავს.

„ტაიმს“-ი სწერს: „ძნელი დასაჯერებელია, რომ იმპერატორმა გენერლები აუდიენციაზე მიიღოს. ეს აუდიენცია დიდად საწყენი იქნება მთელ ბრიტანიის იმპერიისათვის. თავად გერმანიის გაზეთები ნიადაგ აბრაზებდნენ ინგლისელებს და ხსენებული აუდიენცია ხომ ნამდვილად გულზე მოიყვანს ჩვენს ხალხს. იმპერატორს კი, რამდენადაც ვიცით, ამ წყენის განელება ჰსურდა და არა გამწვავება. თუ ვინიცობაა ეს აუდიენცია მოხდა, მაშინ იძულებულნი ვიქნებით სულ სხვა თვალით შევხედოთ იმპერატორის მეგობრობას და გენერლების ერთგულებასა და პატიოსნებას“.

„სტანდარდ“-ი აცხადებს: ეს აუდიენცია ისეთსავე ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს ინგლისში, როგორიც ადრე იმპერატორ ვილჰელმ მე-II-ის ცნობილმა, კრიუგერთან გაგზავნილმა, დეპეშამ მოახდინაო. გაზეთი განაგრძობს: იმპერატორი ყოველ სამხედრო საქმეს დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს. საკვირველიც არაა, რომ გენერლების ნახვა მოინდომოს: გენერლები მამაცად იბრძოდნენ და სამხედრო საქმეებში ძლიერ გამოიცადნენ. მაგრამ ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად კანონიერი, სწორე გზა უნდა აერჩია: გენერლები ჩვენმა ბერლინელმა ელჩმა უნდა წარუდგინოს იმპერატორს. თუ სხვა გზა აირჩია, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ იმპერატორ ნამცეცი თავდაჭერილობა არა ჰქონია და ინგლისის კანონიერ გრძნობას სულ არად აგდებს. სწორედ დასაჯერებელი არაა, რომ იმპერატორმა ასეთი შეცდომა ჩაიდინოს.

გერმანული გაზეთებიც ამბობენ: მართალია, ბურის გენერლებმა იმპერატორს აუდიენცია სთხოვეს, მაგრამ ვილჰელმ მე-II-ის პასუხი კი ჯერ არავინ იცისო. გენერალ დევეტს კი გამოუცხადებია, გაზეთების ცნობა აუდიენციის თაობაზე ჯერ ადრეული ცნობააო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 25 სექტემბერს, დაღესტნის ოლქიდან ტფილისს **ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებელი.**

◆ დღეს, 26 სექტემბერს, „ტფილისის საკრებულოს“ საზაფხულო სადგომში მოხდება მეორე საარჩევნო ნაწილის **ხმოსანთა არჩევნები.** ყუთის დადგმის თანხმობა განუცხადებია 29 კაცს, აქედან სამი ქართველია: ი. ალხაზიშვილი, ი. თულაშვილი და ი. სულხანიშვილი.

◆ თანახმად ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილებისა, ქალაქის გამგეობას **გადაუსინჯავს ამომრჩეველთა სიები** და იქიდან ამოუშლია ყველა ისინი, რომელთაც თავის მამულებზე დარჩენილი ქალაქის ხარჯი არ გაუსტუმრებიათ, მაგრამ სხვა გზით ამორჩევის უფლება შეუძენიათ—ვაჭრობის სახელობით, ოპეკუნობით, თუ სხვა.

◆ თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უფლება მიენიჭა **საჩივარი არ განუცხადოს** იმათ, რომელნიც ბათუმის ოლქში ადგილს ჰფლობელობენ და ხაზინა ედავება. ასეთი ადგილებია მახინჯაურსა, აჭკუასა, ჩაქვასა, ყარა-დერესა, ბარცხანასა, სახროსა და „ზელიონი მისში“, რომელთაც მინისტრი სახაზინოდ სთვლის, მაგრამ ეხლანდელ მფლობელთ გაუშენებიათ და შეუმუშავებიათ ეს ადგილები; ამიტომაც მინისტრს ნებაყოფლობით შეუძლია საშვილი-შვილოდ დაუთმოს მფლობელთ ეს ადგილები, თუ დესეტინაზე ხუთ შაურს მისცემენ საიჯარო გადასახადს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მფლობელს შეუძლია, 1901 წლის 11 მარტს გამოცემულ კანონის ძალით, ადგილები თავის საკუთრებად შეისყიდოს. ამ წესითვე შეძენილი აქვთ დღეს წინად სადავოდ ყოფილი მამულები დესტვ. სტ. სოვ. სტოიანოვს, სტ. სოვ. ვუჩინოსა და ლოპატოს ცოლებს და აზნაურის დალფონსის ქვრივსა.

◆ გუშინ ტფილისს ჩამოვიდა **სახელმწიფო ბანკის მმართველი ბ-ნი პლესკე** და „ორიანტ“-ის სასტუმროში ჩამოხტა. სადგურზე ბ-ნ პლესკეს დახვდნენ სახაზინო პალატისა და სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მოხელენი.

◆ გუშინ-წინ **საზოგადო კრება ჰქონდა** კავკასიის საექიმო საზოგადოებას თავმჯდომარის ასარჩევად. ამ საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი არტემიევი პეტერბურგს გადასულა სამუდამოდ და უარი განაცხადა. კრებამ დაასახელა კანდიდატებად: თავმჯდომარის ამხანაგი ექიმი ანანოვი, კავკასიაში საექიმო ნაწილის გამგე ფენომენოვი, ექიმები: ლუნკევიჩი, რუდენკო, სახაროვი და ლარიონოვი, მაგრამ ყველამ უარი განაცხადეს თავმჯდომარეობისა. სამჯერ ჩამოატარეს ხმები ბარათებით—სამივეჯერ უარი განაცხადეს დასახელებულთ. ბოლოს არჩევანი აღარ მოხდა, კრება სხვა დროისათვის დანიშნეს, ხოლო თავმჯდომარის თანამდებობაში ექიმი ანანოვი დარჩება მანამდე. ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბ-ნ არტემიევის მოადგილე მომავალ აპრილამდე უნდა აერჩია საზოგადოებას, რადგან ბ-ნი არტემიევი ამ დრომდე იყო არჩეული.

◆ 24 სექტემბერს ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს. კომიტეტს ლაპარაკი ჰქონდა, სხვათა შორის, **ზვრის მამულში,** სადაც ფილოქსერა გაჩნდა. კომიტეტმა გადასწყვიტა დაინიშნოს სკრაში საფილოქსერო დასი ექსპერტის სპეშნევის ხელმძღვანელობით. ამ დასმა უნდა გასინჯოს სკრასა და იმის მახლობლად ვენახები. ამავე სხდომაზე კომიტეტმა განიხილა განცხადებანი ბათუმის ოლქის ზოგიერთ მცხოვრებთა, რომელნიც თხოულობენ ნება მიეცეთ გამოიწერონ გასაშენებლად სპარსეთიდან ლიმონისა, ფორთოხლისა და სხვა ნაზ მცენარეთა ნერგები. კომიტეტმა დაადგინა ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე.

◆ სკოლათა გამგე კომისიას სახელოსნო სასწავლებლისათვის **დირექტორი უნდა აერჩია** გუშინწინ, მაგრამ ეს არჩევანი არ მოხდა და სხვა დროისათვის გადასდო კომისიამ. როგორც შევიტყეთ, დირექტორობაზე 12 კაცს გამოუცხადებია სურვილი.

◆ 10 ოქტომბრისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ჰუსეინ-რაგიმ-ოღლისა, რომელსაც **გოზაკოვსკის ქალის მოკვლა** და ექიმი ვოინოს დაჭრა ჰბრალდება.

◆ გუშინ, 25 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გორის მაზრის სოფ. ქარელის მცხოვრებთა სარდიონ არავიაშვილისა, ალექსი შოშიაშვილისა, სიმონ კუმსიშვილისა, დავით ჯაგაშვილისა, ანტონ გელაშვილისა და პაპაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ **ქარელის მამასახლისის გაძარცვა** და ნივთების მოპარვა. ჩვენმა მკითხველებმა ამ საქმის გარემოება კარგად იციან, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ. პირველად ეს საქმე განიხილა ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ, 10 კაციდან დამნაშავედ იცნო მხოლოდ ზემოდ აღნიშნულნი და გადაუწყვიტა სიმონ კუმსიშვილს, დავით ჯაგაშვილს და ანტონ გელაშვილს—უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ექვს-ექვსის წლით კატორგაში გაგზავნა; პაპაშვილს ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო სარდიონ არავიაშვილსა და ალექსი შოშიაშვილს სამ-სამის თვით დაპატიმრება. პალატამ განაჩენი ნაშუადღევის 3 საათზე გამოაცხადა; ბრალდებულთაგან უდანაშაულოდ იცნო სარდიონ არავიაშვილი და ალექსი შოშიაშვილი, ხოლო დანარჩენთა შესახებ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

◆ პარიზიდან ერთ ფირმას. ვინმე დიუნოს, შემოუთვლია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის **ამერიკულის წესით გაკეთებულ აგურებით მოკირწვლის** ქალაქის ქუჩებს და, თუ გნებავთ, დაწვრილებით მოსაზრებასა და ხარჯთ-აღრიცხვას გამოგიგზავნით იმისას, თუ როგორ უნდა გაიმართოს აგურხანა, ამერიკულის წესით აგურის გამოსაყვანადაო. ამისათვის ბ-ნი დიუნო ითხოვს 125 ფრანკს (ხუთ თუმნამდე); თუ ისიც გნებავთ შეიტყოთ, როგორ უნდა მოიკირწლოს ამ აგურებით ქუჩებიო—ამაშიაც 25 ფრანკს გამოგართმევთო.

გუშინწინ ქუჩების მოკირწვლის გამგე მცირე კომისიამ განიხილა ესა და დაადგინა, გამოიწეროს ბ-ნ დიუნოსაგან პროექტიცა, ხარჯთ-აღრიცხვაცა და ცნობებიც ქუჩების აგურით მოკირწვლისა. მერე გამოსცადონ აქაურ ლაბორატორიაში თიხა-მიწა ნავთლუხისა, დიღმისა, წყნეთისა და ვერისა და ამ თიხის ნიმუშები ბ-ნ დიუნოსაც გაუგზავნოს პარიზს გამოსაცდელად. ისიც დაადგინეს: სანამ ყველა დანიშნულ ქუჩებს მოჰკირწლავდეს ქალაქი, ჯერ ვსცადოთ აქაურის აგურით ერთი-ერთი ქუჩა მოვკირწლოთო.

◆ ინჟენერმა ალხაზოვმა წარუდგინა კომისიას აღრიცხვა იმ ხარჯებისა, რაც დაუჯდება ქალაქს ერთი ოთხ-კუთხი საჟენის მოფენა: ქვითა, წმინდა ასფალტითა, მუხისა და კაკლის ხის ნაჭრებით და უბრალო აგურებით. კომისია გაარჩევს ბ-ნ ალხაზოვის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

◆ მომავალ ოქტომბრის 5-სა, 7-სა და 8 რიცხვებში ტფილისის საბალოსნო სკოლაში **სწავლა-დამთავრებულთა გამოცდა იქმნება.** სწავლას ათავებს 8 კაცი.

◆ კავკასიის მხარეში **მიგდებულ ბავშვთა შესანახად** მთავარ-მართებლის საბჭოს კიდევ გადაუწყვეტია ათასი თუმნის მიცემა, აქედან ორასი თუმანი—ქუთაისის გუბერნიაზე. საბებიო ინსტიტუტს კიდევ მიეცა შინაურ ხარჯების ასადგენად 11 ათასი მანეთი. მიგდებულ ბავშვთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს.

ფელეტონი

ახალი გამოგონებანი იტალიელთა

(წერილი იტალიიდან)

როდესაც ერთი სახელოვანი შვილი იტალიისა, მარკონი, იმის ცდაშია, რომ შეამოკლოს დრო, რომელიც აქამდე სჭირდებოდა ჩვეულებრივს ტელეგრამის გადაცემას რკინის მავთულების შემწეობით, და ადამიანის აზრი ქვეყნის ერთ კუთხიდან მეორეში მავთულების დაუხმარებლად მიაწვდინოს ელვის სისწრაფით, მეორე მისმა თანამემამულემ, ინჟენერმა პიშიჩელიმ, იგივე უარყოფილი ტელეგრაფის მავთულები სულ სხვანაირად უნდა გამოიყენოს. ხსენებული ინჟენერი, დიდის ხნის ფიქრისა და მუშაობის შემდეგ, იმ აზრს დაადგა, რომ შესაძლებელია ამ მავთულების საშუალებით ერთი ადგილიდან მეორეში თვით წერილები დავგზავნოთ ხოლმე თითქმის იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც დღევანდლამდე ცალკე სიტყვები იგზავნება.

თავისი ახალი მანქანა ნეაპოლელმა ინჟენერმა პიშიჩელიმ პირველად რომში აჩვენა საზოგადოებას ამ ენკენისთვის 10-ს (ახ. სტ.). დემონსტრაციას დაესწრო ოცდა-ათამდე თანამშრომელი სხვა-და-სხვა გაზეთებისა. გამომგონმა დაანახვა მაყურებელთ პატარა ყუთი, წერილებით სავსე და მიბმული ელექტრონის მავთულებზე, რომელზედაც ელექტრონის გავლენით მისრიალებს. ასეთს ყუთში ჩადებული წერილი ერთს საათში 400 კილომეტრს (კილომეტრი რუსულ ვერსზე ცოტა მეტია) გაივლის. და რადგან ერთ ყუთში ყველა წერილები არ ჩაეტევა, დანარჩენ წერილებს სხვა ყუთებში ჩააწყობენ და პირველს ყუთს უკან გამოუყენებენ. შემდეგ ინჟენერ პიშიჩელის გამოგონებულ მანქანის დემონსტრაციას თვით იტალიის მინისტრი გალიმბერტი და ფოსტის რამდენიმე მოხელეც დაესწრნენ. მინისტრ გალიმბერტის ფრიად მოეწონა პიშიჩელის გამოგონებული მანქანა და გადასწყვიტა ასეთის ელექტრონის ფოსტის გზა საცდელად რომსა და მილანს შუა გაამართვინოს. თუ ცდა სასურველად დაგვირგვინდა, მაშინ ამ ნაირს ფოსტას მთელს იტალიაში შემოიღებენ. იტალიას, უეჭველია, სხვა სახელმწიფოებიც მიჰბაძავენ. და მაშინ, ჩემო მკითხველო, ამ ჩემს წერილს ცხრა დღის მაგივრად ცხრა საათი-ღა თუ დასჭირდება, რომ აქედან ჩვენს დედა-ქალაქამდე ჩააღწიოს. თან, აღარ დასჭირდება აღარც ფოსტის ურმები, აღარც თოფებიანი ჩაფრები, აღარც განსაკუთრებული ფოსტის მოხელენი...

როგორცა ჰხედავთ, ადამიანის გონება დიდის სისწრაფით მიდის წინ, დიდის სისწრაფითვე ეხდება ფარდა ჯერ კიდევ გუშინ ჩვენის გონებისათვის მიუწდომელ მოვლენას ბუნებისას. რაც გუშინ სასაცილოდ და ზღაპრად მიგვაჩნდა, დღეს ხორციელდება საქმით, პრაქტიკული ხასიათი ეძლევა, არავის არ აკვირვებს, პირზე ღიმს არა ჰგვრის. ის კი არა, გვიკვირს კიდეცა, რატომ აქამდე არავის მოუვიდა აზრადაო. მაგალითად, იშვიათად თუ ვისმე არ გაუგონია ის სასაცილო ანეგდოტი, რომ ერთმა გლეხმა ტელეგრაფში წერილი მიიტანა, მავთულებზე დასდვა და შინ დაბრუნდა არხეინად. დარწმუნებული იყო, რომ მის დაჯირჯვებულ თითებით ნაცოდვილები მოკითხვის ბარათი რკინის მავთულებზე გასრიალდებოდა და უხიფათოდ დანიშნულ ალაგს ჩავიდოდა. ან კიდევ მეორე უფრო სასაცილო სურვილი თავის სოფლიდან ცხრა მთას იქით გადაკარგულ ჯარის კაცისა! ამ ჯარის კაცმა იფიქრა, თუ კი მორზეს მანქანაზე გამობმული რკინის მავთულები წერილს წაიღებს, რატომ ნივთის რისამე წაღება არა უნდა შეიძლოსო! მოაგონდა, რომ მოხუცებული დედა-მისი უწყალოდ დადიოდა სოფელში. მოდი, გავახარო დედის გულიო და თავისი წაღები მავთულებზე ჩამოჰკიდა, — გეთაყვათ, დედა-ჩემს ჩააბარეთო... ყბად აღებულ ტეტია გლეხისა და ბეჩავ ჯარის კაცის ამბავი ზღაპარია და მოგონილი, აქამდე ყველას სიცილსა ჰგვრიდა. მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამ ყბად-ასაღებ ამბის ზედგავლენით გაუელვა თავში ინჟენერ პიშიჩელის აზრმა, რომ თავისი საკვირველი მანქანა გამოეგონებინა და ამით... ბოდიში მოეხადა გლეხისა და ჯარისკაცის მაგივრად.

დიახ, იტალიელებმა მიაგნეს საშუალებას, რომ თქვენი წერილი ელვის სისწრაფით მიდიოდეს. მაგრამ ეს ეცოტავათ. სთქვეს, ჩქარა კი წავა წერილი, მხოლოდ სასყიდელი იგივე რჩება მის გასაგზავნათო. მოდი, ამასაც ვუწამლოთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დამწერს წერილის დაწერაზე გაწეულ შრომის მეტი არა სჭირდებოდეს რაო. ოღონდაც რომ სასიამოვნოა და ამის შემდეგ ისეთიც დაიწყებს წერას, რომელსაც თავისდღეში კალამი ხელში არ აუღია! .. მოგეხსენებათ, დღევანდელს ვაჭრობას რეკლამა უდგამს სულსა. ვაჭარი რამდენიც უფრო მეტად სცდილობს თავისი საქონელი საზოგადოებას გააცნოს, იმდენი მეტი მუშტარი ჰყავს, იმდენი მეტი გასავალი აქვს მისს საქონელს. იტალიის ქალაქ ნეაპოლში ერთი სავაჭრო საზოგადოება დაარსდა. ამ საზოგადოებამ საწერილო ქაღალდებზე და ჩალათებზე თავისი განცხადება დაბეჭდა, ისე რომ წერილისთვისაც საკმაო ადგილი რჩება. ასეთი ქაღალდი მსურველს უსასყიდლოდ ურიგდება. დაწერის შემდეგ ჩააბარებთ საზოგადოებას, რომელიც ზედ მარკას აკრავს და მის გაგზავნისათვის თვითონვე ზრუნავს. ასე და ამგვარად ადრე თუ დღეები უნდებოდა წერილის გაგზავნას, დღეს საათები სჭირია, და, ამასთან, ყოველივე უსასყიდლოდ იქმნება. მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ამბავი ჯერ მხოლოდ იტალიაშია და ისიც მხოლოდ ერთს ქალაქში, ნეაპოლში. იმედი ვიქონიოთ, რომ ერთს დროსაც არის მაინც ჩვენამდეც მოაღწევს...

თ. ზ.

◆

ბით ჰმატულობს—ამას ჰმოწმობს ოფიციალი ცნობები: ამ საქმისათვის გადადებული 12 ათასი მანეთი კიდეც დაუხარჯავთ...

◆ გუბერნატორი დაეკითხა ქალაქის გამგეობას, ქალაქის საქონლის საკლავზე **კვირა დღეობით ისვენებენ თუ არა მუშები**, ან რომელის განკარგულებითაო. გამგეობას უპასუხნია: ნოემბრიდან აპრილამდე მუშები ყოველ კვირა-დღეს თავისუფალია მუშაობისაგანო. ასე დაადგინა საბჭომ ამ წლის მარტში, ეს დადგენილება თქვენ წარმოგიდგინეთ და, რადგან კანონით დაწესებულ ორის კვირის განმავლობაში თქვენგან არავითარი ცნობა არ მოგვივიდა, საბჭოს დადგენილება ძალაში შევიდა და იმავე მარტის 28 რიცხვიდან ჰმოქმედებსო.

◆ მესამე საარჩევნო ნაწილის კომიტეტის თხოვნით, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ბილეთები მიეცეთ დღეს, დილის 10 დან 3 საათამდე იმათ, ვისაც ჰსურს მესამე საარჩევნო ნაწილის ხმოსანთა არჩევანებზე დასწროს. ბილეთების მიღება შეიძლება ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომში.

◆ 24 ოქტომბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. კონსტანტინე დადიანისა და გვაჯა ჩიქოვანისა, რომელთაც ჰბრალდებათ ციმბირიდან გამოქცეულ კიდა ემუხვარის დამალვა.

◆ გუბერნატორის განკარგულებით, დაინიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც რევიზია უნდა მოეხდინა ხელოსანთა გამგეობის საქმეებისა. უამისოდ ხელოსანთა ახალი მოურავი საქმეებს არ იღებდა სერობიანცისაგან. კომისიას რევიზია ორის კვირის განმავლობაში უნდა გაეთავებინა, მაგრამ მეორე თვე გადის და რევიზია ჯერაც არ დამთავრებულა. მიზეზი ის არის, რომ სერობიანცი კომისიის მოთხოვნილებას არ ასრულებს და ამა თუ იმ საქმის შესახებ ცნობებს არ აწვდის.

◆ ქალაქის მოურავს თავისს სახელობით და გამგეობის სახელობითაც მისალოცი დეპეშა გაუგზავნია თავ. ამილახვრისათვის სოფ. ჭალას. თავადს შემდეგი პასუხი მოუწერია ბ-ნ შესტაკოვისათვის: „გულითად მადლობას გიძღვნით თქვენცა და სამშობლო ქალაქის გამგეობასაც მოლოცვისათვის.“

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ გუშინდელ ნომრის (1935) ახალ-ამბებში შეცდომით დაბეჭდილია, რომ თიანეთის სკოლაში მასწავლებლის ადგილი განთავისუფლდაო. უნდა იყოს: თონეთის სკოლაში.

რუსეთის ქრონიკა

◆ აზრადა აქვთ ყველა საავადმყოფოში საჩივრის წიგნები შემოიღონ. უკმაყოფილო ავადმყოფსა და გარედან მოსულთ შეეძლებათ თავიანთი საჩივარი ამ წიგნში ჩასწერონ ხოლმე.

◆ საერო განათლების სამინისტრომ ერთხელ კიდევ განმარტა, რომ ისინი, ვისაც ჰსურთ შინა აღმზრდელისა და მასწავლებლის წოდება მიიღონ, ქრისტიანები უნდა იყვნენ. სხვებს (მათ შორის მაჰმადიანებსაც) არ შეიძლება ამ გვარ აღმზრდელისა და მასწავლებლის მოწმობა მიეცეს.

პრესსა

მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამეგრელოს სკოლებისათვის ქართულის ანბანის ნაცვლად ახალი ანბანი გამოიგონეს. აი, ამის შესახებ „ნოვოე ობოზრენიე“-ში რასა სწერს ომ—ი:

ვინ არ იცის, რომ მეგრელები ლაპარაკობენ ქართულ ენის განსაკუთრებულ კიკილოზე, რომელსაც მეგრულ კილოს ეძახიან. ქართულ ენის თვისებანი სავსებით დაცულია ამ კილოში და იშვიათია ისეთი მეგრელი, რომელმაც დაბადებითვე ქართული ენა არ იცოდეს. ისინი-კი, ვინც წერა-კითხვა იციან, თავიანთ კილოზე მიწერ-მოწერის დროს ქარრთულ ასოებსა ხმარობენ, რადგანაც ქართული ასოები სავსებით შეეფერება მეგრულ კილოს ხმებს. ესევე არ ითქმის რუსულ ან-ბანზე; იგი ისეთ ენისათვის არსებობს, რომელიც ძირითადად განსხვავდება ქართულ ენისაგან. აშკარაა ამიტომ, თუ სკოლებში მეგრულთან ერთად რუსულის ენის სახელმძღვანელოს შემოღება უნდათ, მეგრული კილო უნდა უსათუოდ ქართულის ასოებით დაჰბეჭდონ. სამეგრელოში-კი სხვანაირად მოქცეულან: არ ვიცით, რა მოსაზრებით, მეგრულის კილოსთვის გამოუგონიათ განსაკუთრებული ანბანი, რომელიც მხოლოდ რუსულის ასოების შეცვლა-დამახინჯებაა. ჩვენს წინა დევს არ ვიცით ვის მიერ შედგენილი „მინგრელსკაია აზბუკა“ (ტფილისი 1899 წ.), რომელიც სამეგრელოს სკოლებში მიუღიათ ამა სამოსწავლო წლიდან, როგორც სახელმძღვანელო რუსულის ენის სასწავლებლად მეგრელ ბავშვებისათვის. ამ წიგნაკში ორ სვეტზე დაბეჭდილია პარალელური ტექსტი მეგრულსა (შეცვლილ რუსულის ასოებით) და რუსულ ენებზე. შეუცვლიათ რუსული ასოები მეგრელებისათვის, მაგრამ როგორ: ზოგიერთ ასოსთვის, მაგალითად, გ, კ, ტ, ჩ, და სხვა ასოებისთვის რაღაც კუდები მოუბამთ. ეს კუდები, როგორც შემდგენელი განმარტავს, ვითომ მეგრულ ენის განსაკუთრებულ ხმებსა ჰნიშნავს. სწორედ გაუგებარია, რისთვის მოისურვეს რუსულის ასოების შეცვლა და ახალის, სრულიად გაუგებარის, ანბანის შექმნა, როდესაც არსებობს მეგრულს კილოზე ზედ-გამოჭრილი ქართული ანბანი, რომელსაც არც შეცვლა და არც გადამახინჯება არ დასჭირდება. ასეთი მოქმედება წინააღმდეგია კულტურისა, რომელიც, როგორც ვუწყით, ვერ ურიგდება ისეთ რამეს, რაც განგებ გამოგონილი და ზედ მეტია. მაგრამ რუსულ ენის სახელმძღვანელოში რუსულის ანბანის დამახინჯებას პედაგოგიურის მხრივაც დიდი ნაკლი აქვს, რადგანაც ხელს შეუშლის ბავშვს დაიხსომოს რუსული ანბანი. ეჭვი არ არის, ბავშვის გონებაში ისე აირევა ყველაფერი, რომ ნამდვილ ანბანს შეცვლილისაგან ვერ გაარჩევს და შრომა და მეცადინეობა უქმად ჩაუვლის. ამ რიგად სხვა-და-სხვა კილოსათვის ხელოვნურის ანბანების გამოგონება ყოველის მხრით საზარალოა. ასეთის ცდისაგან ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღონ და ისიც გააუქმონ, რაც აქნამდე ამ მხრივ გაუკეთებიათ: ამით ენათა შესწავლის საქმე როგორც სკოლასა, ისე ცხოვრებაში ბევრს მოიგებს, რადგანაც ამ გვარ საქმეში მხოლოდ იმასა აქვს ნიადაგი საპროგრესოდ, რაც ხელოვნური და ზედ-მეტი არ არის. ახალი ანბანები ამ გვარ თვისებებს მოკლებულია, ამიტომ ისინი არსად არავისთვის გამოსადეგნი არ არიან.

თეატრი

ოპერა. „აიდა“ მუსიკა ვერდისა. 24 სექტემბერს დასდგეს „აიდა“. ხალხი ცოტა იყო, რაც აიხსნება იმით, რომ საზოგადოებას არა სწამს ძალა თ. წერეთლის დასისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ოპერამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მეოთხე სცენის შემდეგ დირიჟორი შტეინბერგი ხუთჯერ გამოიხმეს, ღირსიც იყო. ქალბ. ზორინისამ კარგად აასრულა ძნელი პარტია „აიდასი“. რადომესის პარტია იმღერა სრულიად ახალგაზდა ტენორმა ვასილიევმა. ერთმა რეცენზენტმა სამართლიანად სთქვა: ვასილიევს თვალებ დახუჭული უნდა უგდოთ ყურიო. მართლაც, მშვენიერი ხმა სრულიად ქარწყლდება იმის თამაშობის ნახვით. დანარჩენნი არ ახდენდნენ თავ-თავიანთ პარტიას. ხორო, ორკესტრი, მოწყობილობა, ტანისამოსი ძალიან კარგი იყო.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

სამშაბათს, 24 სექტემბერს, ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით მოხდა სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად. თავმჯდომარემ სხდომის დაწყებისათანავე აცნობა კრებას შინაარსი ჯერ იმ პროგრამისა, რომელიც განსაკუთრებულ საბჭოს მიერ არის შემუშავებული და ადგილობრივ კომიტეტების განსახილველად გამოგზავნილი და შემდეგ აღნიშნულ საბჭოს თავმჯდომარის მოწერილობა, რომლითაც სრული თავისუფლება ეძლევათ სოფლის მეურნეობის წარმატების გულშემატკივართ თავიანთი მოსაზრებანი გამოსთქვან მეურნეობის საჭიროებათა შესახებ. კრებას პირველად უნდა გადაეწყვიტა, რა წესი შემოეღოთ საზოგადო კრების სამეცადინოდ: მუხლობით შესდგომოდნენ პროგრამის განხილვას, თუ იმ საქმეებზე შეჩერებულიყვნენ, რომელიც მხოლოდ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების საჭიროებებს შეეხება.

თავ. გ. მიქელაძე. ჩემის აზრით, უკეთესია პროგრამის განხილვას მუხლობით შეუდგეთ. წაკითხვისა და ამა თუ იმ მოსაზრების გამოთქმის დროს გამოირკვევა, რომელი მუხლი შეეხება უფრო ჩვენის ქვეყნის საჭიროებას.

ბ-ნი ტარატინოვი. მე ვამჯობინებ იმის განხილვას, რა უფრო ეჭირვება კავკასიის სამეურნეო ცხოვრების წინ წაწევას, ვიდრე პროგრამის მუხლებისას, რადგანაც დროსაც წაგვართმევს და წვრილმანის განხილვა არც საჭიროა.

ბ. საკოვი. მე ვეთანხმები ბ-ნ ტარატინოვის მოსაზრებას: კავკასიის მეურნეობის საჭიროებათა შესახებ საზოგადო საკითხები უნდა წამოვაყენოთ და განვიხილოთ. ვიდრე პროგრამის შევსების საჭიროებაზე ვიტყოდე რამეს, მინდა ერთ გარემოებას მივაქციო საზოგადოების ყურადღება. ვთქვათ, შევიმუშავეთ თეორიულად საქმე და გამოვარკვიეთ საჭიროებანი მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის გასაუმჯობესებლად. მერე, სად არის ჩვენში ისეთი ძალა, ისეთი დაწესებულება, რომელმაც მიიღოს თავზე ჩვენ მიერ დასახელებულ საჭიროებათა განხორციელება დაცემულ მეურნეობის განსავითარებლად? რა თქმა უნდა, ახალი რამ მაშინ მოიკიდებს ფეხს და გამოიღებს ნაყოფს, როდესაც თვით ხალხია მომზადებული და გამოფხიზლებული, როდესაც თვით-მომქმედი დაწესებულება აქვს. აი, ასეთი საზოგადო და თვით-მომქმედი დაწესებულებაა საჭირო ჩვენის ხალხისათვის. მე ვამბობ ერობის შემოღების საჭიროებაზე. მთელი ლიტერატურა რომ შევქმნათ აღნიშნულ საჭიროებათა შესახებ, მაინც ეს შრომა უნაყოფოდ ჩაივლის, რადგანაც არა გვყავს ორგანო იმის განსახორციელებლად. ყველაფერი ამ თვით-მმართველობის, ერობის შემოღებაზეა დამოკიდებული. ერობა გამონახავს წყაროს, შეჰქმნის ნიადაგს და სისტემატიურად შეუდგება ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. რაც შეეხება მეურნეობის საჭიროებებს, ვის შეუძლიან თვით მეურნეზე, სოფლის მუშაკზე უკეთ აღნიშნოს ეს საჭიროებანი; იგი ხომ ყოველ დღეს ჰგრძნობს ამ საჭიროებას! ამიტომ, ჩემის აზრით, დღეს უნდა გადავწყვიტოთ—აღიძრას შუამდგომლობა, რომ მოვიწვიოთ საზოგადო კრება მთელის კავკასიის მეურნეებისა, რომელთაც თავიანთი აზრი უნდა გამოსთქვან. ამას გარდა, კავკასიის შესახებ არავითარი სასტატისტიკო ცნობანი არა გვაქვს, რაც, რასაკვირველია, ხელს შეუშლის მუშაობას. პროგრამაში უნდა ჩაერთოს აგრეთვე დროებით ვალდებულ გლეხთა საქმეც. პროგრამაში აღნიშნულ საქმეების გამოსარკვევად ჯერ ადგილობრივ მეურნეთა კრებები უნდა მოხდეს და მერე საზოგადო კრება მთელ კავკასის მეუნეთა.

სულთან-კრიმ-გირეი დაეთანხმა მეურნეთა ჯერ გუბერნიებში და შემდეგ ერთად კრების მოხდენის საჭიროების, რადგანაც მთავრობა ითხოვს მოწერილობაში, რომ თვით ხალხმა, მეურნეებმა გამოსთქვან რაა საჭირო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

ა. ქალანთარი. მეურნეთა კრებების მოწვევა შეუძლებლად მიმაჩნია, რადგანაც ამისთვის მთავრობის ნება-რთვაა საჭირო და საქმე დაგვიანდება. ჩემის აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ: სამეურნეო საზოგადოებას ნება აქვს წესდებით მეურნეთა განსაკუთრებული სხდომები გამართოს ამა თუ იმ საქმის განსახილველად. უკეთესი იქნება, აი ამ უფლებით ვისარგებლოთ.

კრებამ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, გადასწყვიტა მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად მოახდინოს კრებები გუბერნიებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებებთან და საერთო კრება ტფილისში. თუ საჭირო იქმნება კრებების ნებართვის აღება, შუამდგომლობა აღიძრეს მთავრობის წინაშე.

შემდეგ კრება შეუდგა პროგრამის განხილვას. წაკითხულ იქმნა პირველი მუხლი სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ.

(დასასრული ხვალ)

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება

22 სექტემბერს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში, დ. ნ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით მოხდა ზემოდ დასახელებულ საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც, სამწუხაროდ, ძრიელ ცოტა წევრი დაესწრო. კრების საგანი იყო: სასოფლო-მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის ორგანიზაცია ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. მოგეხსენებათ, ეს ათი წელიწადია ამ უბედურ საათზე გაჩენილ სკოლას აწამებენ: თითქმის ყოველ წელს უნდა გამოიცვალოს სკოლის მმართველი (მხოლოდ უკანასკნელი მმართველი ბ. დიუბინეცკი შერჩა ეს მესამე წელიწადია); რასაც ერთი მმართველი აშენებს, მას მეორე არღვევს, რადგან არ მოსწონს. სკოლაში ასწავლიან ყველაფერს, რაც გინდა: მევენახეობას, მეღვინეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას და სხვ. და სხვ., გათავებული მეფუტკრეობით, და ეხლა, მგონი, საქონლის მოვლა-მოშენების სწავლებაც უნდათ დაიწყონ. ერთი სიტყვით, ასწავლიან ყველაფერს, მაგრამ იმავე დროს არაფერს. ეს მოსალოდნელიც უნდა იყოს: ყოვლად შეუძლებელია, სამის წლის განმავლობაში ყმაწვილმა შეითვისოს ყველა ის საგნები, რასაც სკოლაში გადიან. აქაო და ქუთაისის გუბერნიის ბუნება მრავალფეროვანია, ყოველგვარ მეურნეობის დარგს მისდევენ, და ამიტომ საჭიროა ყველაფერი ვისწავლოთო—ყოვლად შეუწყნარებელი საბუთია! თუ ასე ვიტყვით, სხვაც ბევრი რამ გვჭირდება, მაგრამ ერთი სამეურნეო სკოლა როგორ მოგვცემს ყველაფერს, ისიც სამი წლის განმავლობაში?! შეიძლება რომ გვქონდეს, საჭირო არის სხვა სასწავლებლის გახსნაც, მაგრამ სადაა შეძლება? ყველაფერს კი ერთი სამეურნეო სკოლა ვერ გაუძლებს.

კრება ორ უთანასწორო ნაწილად გაიყო: სკოლის გამგეობის უმეტესობა და ორიოდ კარეშე წევრი ამტკიცებდნენ, საჭიროა მეოჯახ-მეურნეობის ყოველგვარი დარგი ისწავლებოდეს სკოლაში, რომ ქუთაისის გუბერნიის ყოველ კუთხეს მოვუმზადოთ მცოდნე პირებით, დანარჩენები კი თითქმის ერთხმად ამტკიცებდნენ ამის შეუძლებლობას და თითქმის მავნებლობასაც: ახალგაზდა მოწაფეებს გონება დაუბლუნგდებათო (თავ. გ. ბ. დორთქიფანიძე).

ხანგრძლივის კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ უმჯობესია სკოლაში უპირველესი ადგილი დაიჭიროს მევენახეობა-მეღვინეობამ, რადგან მეურნეობის ამ დარგს ხელს უწყობს ქუთაისის გუბერნიის ბუნება თითქმის ყველგან და შემოსავალიც დიდი აქვს; ამას კი მოჰყვეს მებაღეობა და მეაბრეშუმეობაო.

დონ-ვალიანი

წერილი ფოთიდან

დეკანოზის გრიგოლ მაჭარაშვილის დასაფლავება

შაბათს, 21 სექტემბერს, სოფ. ყალს დაასაფლავეს ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გრიგოლ მაჭარაშვილი. დასაფლავებას დაესწრო იმერეთის ეპისკოპოსი უ-დ სამღვდელო ლეონიდე, ფოთის ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე, ფოთის საკრებულო ტაძრის მთელი კრებული და ფოთიდან მოსული პატივისმცემელნი. დილის 9 საათზე სამღვდელოებამ გამოასვენა ცხედარი და ეკკლესიამდე ხელით მიასვენა. გალობდა გურულს კილოზე ორი გუნდი ეპისკოპოსისა და ვაყის სამრევლო სკოლისა.

სამგლოვიარო პროცესიას ამშვენებდა 8 ძვირფასი გვირგვინი და 4 ხატი შესაფერის წარწერებით. სხვათა შორის, გვირგვინებზე ეწერა: 1) „თუმც შენ არა ხარ, საქმენი შენი იქნება ჩვენში დაუვიწყარი. უფალსა გვედრით, მწყემსო კეთილო, მოგცეს ცხოვრება იქაც ნეტარი.“ მისგან დაარსებულის ფოთის ორკლასიანი სკოლის მოწაფეთაგან; 2) მისგან დავალებულის ფოთის ქალაქისაგან; 3) ფოთის ქალთა სკოლიდან—„ძვირფასს მამას მოყვარულ ასულთაგან“; 4) ხატი და გვირგვინი ფოთის გაზრდილისაგან: „დაუვიწყარ მამა დეკანოზს გრიგოლ მაჭარაშვილს“; 5) მაცხოვრის ხატი გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოსაგან: „თავმჯდომარეს გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოისას დეკ. გრიგ. მაჭარაშვილს,“ 6) მაცხოვრის ხატი ფოთის საკრებულო ტაძრის კრებულთაგან და სხვათა შორის მოღვაწეობის მადლიერ სულიერ შვილთაგან. წირვაზე სიტყვა წარმოსთქვა ფოთელმა მღვდელმა გიორგი გეგეჭკორმა. სასაფლაოსთან დაკრძალვის დროს ვრცელი სიტყვით განმარტა და მოიხსენია განსვენებულის საზოგადო მნიშვნელობა და მოღვაწეობა ფოთისათვის ბ-ნმა ა. წ—ძემ.

გულ-დაწყვეტილმა ფოთელებმა სხვათა შორის მოატანეს 400 მანეთი განსვენებულის ძეგლისათვის.

განსვენებულის ქვრივმა მიიღო 60-მდე დეპეშა სხვა-და-სხვა პირთაგან.

წერილი რედაქციის მიმართ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ საზოგადოების სასარგებლოდ მიიღო: ეარსიდან ხუთი თუმანი (50 მ.) მარიამ კიკნაძისაგან და ივ. უთნელიშვილისაგან ერთი თუმანი (10 მ.) ავ. ცაგარლის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆

უცხოეთის წვრილი ამბები

რუმინიის დედოფალი და ტოლსტოი. გაზეთებში დაბეჭდილი იყო ის ამბავი, რომ რუმინიის დედოფალმა მიიპატიჟა ტოლსტოი. ისიც მოგეხსენებათ, რომ დედოფალი ცნობილი მწერალი ქალია, სწერს კარმენ სილვას სახელობით. როცა ტოლსტოის მიპატიჟების ამბავი გაზეთებში ჩავარდა, ევროპაში ისიც-კი სთქვეს, რომ გამოჩენილი რუსის მწერალი-მეცნიერი სრულებით სტოვებს რუსეთს და კარმენ სილვამ თავისკენ მიიპატიჟა საცხოვრებლადაო. ეს ხმა იმდენად გავრცელდა, რომ ბუქარესტის ერთმა გავლენიანმა გამოაცხადა, ტოლსტოი მხოლოდ დარჩება რუმინიაშიო. ამ გამოცხადებას ლონდონის გაზეთმა „სტანდარდ“-მა მიაქცია ყურადღება და მთელი მეთაური დაბეჭდა და აი როგორ ახასიათებს ლეო ტოლსტოის მწერლობაში და მის საზოგადო მოღვაწეობას.

„კარმენ სილვას მიუპატიჟნია კარპატის მთების უმშვენიერეს კუთხეში გაშენებულ საკუთარს სახლში, თუმცა ამ სტუმართ შორის ერთიც არა ყოფილაისეთი სახელ-განთქმული, როგორიც არის „ანნა კარენინა“-ს დამწერი. ტოლსტოის ამ დროინდელ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, ერთ მუშა რუს-მწერალთაგან ისეთია, რომლის ნაწერებმა ცხადად დაუმტკიცეს განათლებულს ქვეყნიერებას, რომ რუსეთსაც ჰქონია მწერლობა. მაგრამ ტოლსტოი მარტო რომანისტი არ არის, ამაზე უფრო მაღალიცაა. ვისაც ტოლსტოის სახელი ყურს მოჰხვდება, იმას უთუოდ ისიც დაეხატება გონებაში, რომ ტოლსტოი გაჭირვებულთა დამხმარეა არა მარტო თავისს სამშობლოში, სხვა ქვეყნებშიაც-კი და ხალხმა სწავლა-განათლების მიმდევარი —საკუთარის ხარჯით თავისს მამულში ააგო სახალხო სკოლები“.

ამას ამბობს ინგლისელ კონსერვატორთა გაზეთი.

**

თუ გული გულობს... მიჩაგანის შტატები (ჩრდილო ამერიკა), სოუტ-ჰავენში უშვილო ცოლ-ქმარი. ყოფილა მოსწყენიათ უშვილობა და გადაუწყვეტიათ სხვისა ეშვილათ. ცოლ-ქმართ პატარა ბაღი ჰქონიათ, იქიდან ხილს ჰყიდდნენ და იმით ირჩენდნენ თურმე თავს. ქალაქ მინეზეტის ბავშვთა თავ-შესაფარისათვის მიუმართნიათ და უთხოვიათ, საზღვულოდ რამდენიმე ბავშვი გამოგვიგზავნეთ, რომ ერთი მათგანი ჩვენთვის ავირჩიოთ და ვიშვილოთო. თავ-შესაფ რსაც აუღია და სულ ერთიანად, რამდენიც ჰყავდა ბავშვი, სულ გაუგზავნია—რომელიც გნებავდეთ, აირჩიეთო. 22 ბავშვი—ქალი და ვაჟი —მოუვიდა მეხილე ცოლ-ქმარს. ბავშვები მთელი ზაფხული ამ ოჯახში დარჩნენ და ისე შეუყვარდათ ცოლ-ქმარს, რომ მერე ვერც ერთი მათგანი ველარ მოიშორეს და ყველა ერთიანათ იშვილეს—არ შეუშინდნენ თავისს ხელ მოკლეობას.

**

თითო მცხოვრებზე იგზავნება ფოსტით:

1. ოსმალეთში	0,8	წერილი
2. ბრიტანიის ინდოეთში.	1,5	„
3. ბრაზილიაში	4,3	„
4. რუსეთში	4,8	„
5. ბოლგარიაში	5,9	„
6. საბერძნეთში	6,7	„
7. სერბიაში	8	„
8. რუმინიაში	8,6	„
9. ისპანიაში	9,6	„
10. იაპონიაში	10,1	„
11. პორტუგალიაში	12,3	„
12. იტალიაში	18	„
13. ავსტრო-უნგრეთში	31	„
14. შვეცია-ნორვეგიაში.	34,3	„
15. საფრანგეთში	52	„
16. გოლლანდიაში.	58	„
17. ბელგიაში	60	„
18. დანიაში.	70	„
19. გერმანიაში	77	„
20. ავსტრალიაში	77	„
21. დიდ ბრიტანიაში	80	„
22. ამერიკის შეერთ. შტატ.	83	„
23. შვეიცარიაში	110	„

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

პარიზი. მინისტრთა საბჭოს დელკასემ გამოუცხადა, რომ მან სიამის მინისტთან პირობა შეჰკრა დღეს და ორივე სახელმწიფო სადავო საქმეებში მორიგდნენ.

ნიუ-იორკი. პენსილვანიაში მიდიცა გამოიწვევს იმ ადგილებში სამსახურისათვის, სადაც გაიფიცნენ.

სევასტოპოლი. სამ საათზე კონსტანტინეპოლიდან ჯავშნიანის გემით „გიორგი პობედონოსეც“-ით მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და იმწამსვე ცხენებით ლივადიის წავიდა.

ბელგრადი. მაკედონელთა კრების გუშინდელი სხდომა პოლიციამ დაჰკეტა, რადგან დიდი უწესოება დაინახა.

კონსტანტინეპოლი. ჯავშნიანის გემის „გიორგი პობედონოსეც“-ის დარდანელის სრუტეში გასვლის გამო მითქმა-მოთქმის შესახებ, ოსმალეთის მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ ხელ-შეკრულობა იმით არ დაირღვევა, თუ სრუტეში ისეთი სამხედრო გემი გაივლის, რომელზედაც ხელოწიფეები იქმნებიან, ან იმათი წარმომადგენელნი პრინცები.

პარიზი. ვაჭრობისა და მრეწველობის რესპუბლიკელთა კომიტეტის წლიურს კრებაზე ტრულიომ, ბრისონმა და კომბმა სიტყვები წარმოსთქვეს. კომბმა მადლობა გადაუხადა იმ ორატორებს, რომელთაც მთავრობის მოქმედება მოიწონეს თავიანთ სიტყვებში. ვალდეკ-რუსოს მომართულება შეუცვლელად დარჩაო. მინისტრთა დეკლარაციის საგანი ჯერ კიდევ ცოტადაა აღნიშნული, მაგრამ მთავრობას საკმაოდ ძალა შესწევს შეასრულოს იგი. მთავრობა ჰზრუნავს ვაჭრობასა და მრეწველობაზე და ამ ჟამად ჩვენს ქვეყანაში სრული მეუდროებაა, გარედაც—ზავი. 1871 წლიდან საფრანგეთი დაჟინებით მისდევდა სამშვიდობო მიმართულებას. დანარჩენ სახელმწიფოთაგან არც ერთი არ იცავდა მშვიდობიანობას ისე, როგორც საფრანგეთი და სალხთა შორის სამედიატორო სამართალით საქმის გადაწყვეტისათვის საფრანგეთისავით მხარი არავის მიუცია. ნაციონალიზმი ცდილობს საფრანგეთი შეაცდინოს მომავლის ომიანობით და გამარჯვებით, მაგრამ საფრანგეთმა ზიზღით უარჰყო ომიანობაც და რეაკციაც. საფრანგეთს მშვიდობიანობის სიყვარულით ჰყავს ისეთი მხედრობა, რომელიც სიუხვითაც და რიცხვითაც თანასწორია სხვა სახელმწიფოს მხედრობასთან. რესპუბლიკელი საფრანგეთი გატაცებულია განათლების აზრებით, რომელიც ხალხს შორს აყენებს ომიანობისაგან. ისარგებლეთ ამ მშვიდობიანობით, რომელიც ისე მტკიცეა, რომ მსგავსი ამისა არასოდეს არ უნახავთ, იმიტომ რომ ყველა სახელმწიფოებთან მშვენიერი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ გარეშე მიმართულებას ქვეყნიერება სამართლიანად აღიარებს. ამის წყალობით რესპუბლიკას ამ ჟამად აქვს უძლიერესი კავშირი, მეგობრული განწყობილება და გარეშეთ პატივისცემა. რესპუბლიკას არ ეშინია მონარხისტებისა და ნაციონალისტების მუქარისა (ტაში).

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა ნება მისცა სახელმწიფო ბანკის განყოფილებას კიევში, 500 ათას მანეთის დამატებითი სესხი მისცეს მოსკოვ-კიევო-ვორონეჟის რკინის გზის სამმართველოს, რომ პურში სესხი გასცეს.

გზათა სამინისტროში ოქტომბერში საბოლოოდ გადაწყდება რუსეთისა და ფინლანდიის რკინის გზათა განუწყვეტლად შეერთების საქმე.

24 სექტემბერი

შემახა. მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი გოლიცინი ორ დღეს დარჩა აქ და დაწვრილებით დაათვალიერა ახლად გაშენებული ადგილები.

სიმფეროპოლი. „სალგირ“-სატყობინებენ, რომ 18 სექტემბერს საღამოს 6—7 საათზე ლინდენაუს და სხვა ახალშენებში ბერდიანსკის მაზრაში მიწის ძვრა იყო.

კონსტანტინეპოლი. ტყუილი და გაზვიადებულია ხმები, ვითომც მეამბოხეთა ბრბომ უწესოება მოახდინა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, საქმე უარეს მდგომარეობაშია სამს-ვილაიეტში. ევროპის პრესსა ნამეტან პესსიმისტურად უყურებს ამ გარემოებას. არ მართლდება ცნობა იმის შესახებ, ვითომც მიღებული იყოს ახალი სამხედრო ზომები. უწესოებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და შემოდგომის დაწყების გამო თან-და-თან ისპობა.

ნიუ-იორკი. მანილიდან იუწყებიან, რომ 12 სექტემბერს გუამაში მიწა იძრა. კაზარმები და სხვა შენობები დაინგრა.

პარიზი. დელკასესა და სიამის ელჩის შორის ხელშეკრულობაში არის შემდეგი უმთავრესი დადგენილებანი: საფრანგეთს ეძლევა პროვინციები მალუპრე და ბასსაკი, საფრანგეთის ჯარები გავლენ ჩანპაბონიდან, სიამს ეძლევა უფლება გაგზავნოს ჯარები მეკონგის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც სიამს ეკუთვნის. სიამს შეუძლიანააშენოს ნავთსადგურები, არხები, რკინის გზები მდინარე მეკონგის იმ ნაწილში, რომელიც შეადგენს სიამის საკუთრებას. ყველა ეს შეიძლება გაკეთებულ იქმნას სიამელების მიერ, საფრანგეთის დაუკითხავად. არავითარი ხარჯი არ უნდა იყოს შემოღებული მთელ სიამში ნავთსადგურებისა, არხებისა და რკინის გზების სარგებლობაზე.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ გაძლიერებულია შტატი პოლიციის დეპარტამენტისა.

გენერალ-ადიუტანტს თავადს ამილახორს ებოძა პირველი ხარისხის ორდენი წმინდა ვლადიმერისა.

პეტერბურგის ბირჟა 24 სექტემბერს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,35	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$97\frac{1}{8}$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$99\frac{1}{2}$	„
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$467\frac{1}{2}$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$355\frac{1}{2}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$290\frac{3}{4}$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$87\frac{1}{2}$	„
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89\frac{1}{2}$	„
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85	„
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$89\frac{1}{2}$	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	185	გაყიდ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ (7 ს. 43 წ:); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამით 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

კავკასიის

საოლქო საინტენდანტო მმართველობა მოიწვევს ერობათა, მიწათ-მფლობელთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, რომელნიც-კი მოისურვებენ მიჰყიდონ საინტენდანტო მმართველობას პური (ხორბალი), გამოუგზავნონ ზემოხსენებულს მმართველობას ქალაქ ტფილისში ქაღალდი იმ რიგით, რომელიც დადგენილია სამხედრო უწყების მიერ სურსათ-ნუზლის სყიდვის წესთა მე-18 მუხლით. ქაღალდს უნდა ეკრას ორი გერბის მარკა სამ-სამ აბაზიანი და შიგ უნდა იყოს მოხსენებული: წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მემამულისა, სახელწოდება მამულისა და მაზრისა, აღნიშვნა ადრესისა, რომლითაც უნდა გაეგზავნოს მემამულეს პასუხი მის ქაღალდზედ, რაოდენობა მისასყიდის პურისა და მისი ღირსება, ფასი ერთის ფუთისა, აღნიშვნა რკინის გზის სადგურისა, ან მაღაზიისა, საცა იქნება ჩაბარებული პური, სად უნდა გაიგზავნოს ტომრები და რადა რა ვადაზე, რომელ კასიდგან და რა წესით უნდა მიეცეს ფული. აგრეთვე აღნიშვნა თანხმობისა, რომ ტვირთულობენ პურის ჩაბარებას იმ პირობით, რომელიც განმარტებულია ერობათა, მემამულეთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათაგან სამხედრო უწყების მიერ ნუზლსანოვაგის სყიდვის წესში. ამას გარდა, რადგან სყიდვა პურისა მემამულეთაგან ამა თუ იმ ვადაზედ, ბეის წარმოუდგენლად შეიძლება, ამიტომ იმის ბუღდავანობისათვის, რომ მემამულენი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, მემამულე თავად-აზნაურნი, გამსყიდველნი პურისა ამა თუ იმ ვადაზედ მოვალენი არიან წარმოადგინონ ადგილობრივ მარშლის და არა ნაკლებ ორის ადგილობრივ მემამულე თავად-აზნაურის ხელმოწერილი მოწმობა, ანუ მოწმობა საერობო გამგეობისა იმის შესახებ, თუ რაოდენი აქვს მამული სახნავი, სათიბი და საძოვარი, წელიწადში რამდენსა ჰხნავს და სთესავს, ორთა შუა რიცხვით რა მოსავალი ჰქონდა 5 წლის განმავლობაში, რაოდენი პური უნდება საკუთრად თავისთვის, რამდენი რჩება გასასყიდად, ხოლო დანარჩენნი მემამულენი, რომლითგანაც ბეის მაგიერ შეიძლება მიღებულ იქმნას მეხუთედი გასყიდულის პურისა იმ პირობით, რომ ამ მეხუთედის ფასი მიიღოს მაშინ, როცა უკანასკნელ გასასყიდის პურის ნაწილს ჩააბარებს, მოვალენი არიან აღნიშნონ თავიანთ ქაღალდში ვადა და ადგილი, რა ვადაზედაც და ადგილასაც ჩააბარებენ საინტენდანტო მმართველობას მეხუთედ ნაწილს გასყიდულის პურისას.

ამასთანავე ყველა გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს საინტენდანტო მმართველობაში ნიმუში პურისა ორის კარგად გამომშრალ და კარგად თავდაცობილ ბოთლითა, რომელიც უნდა იტევდეს არა ნაკლებ $1/20$ ვედრისას.

მმართველობა დასძენს ამას: 1) ქაღალდი პურის გასყიდვის თაობაზედ შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ იმ მემამულეთაგან, რომელნიც ჰფლობენ თავიანთ მამულს სრულის საკუთრების უფლებით, და არა კითარცა მოიჯარადრენი; 2) რომ პური შეიძლება იყიდოს მმართველობამ იმდენი, რამდენიც მემამულის საკუთარს მამულზედ მოდის პარტიობით დაწყებული 750 ფუთიდგან, და 3) რომ ყიდვა პურისა არა საკუთარს, არამედ იჯარით აღებულ მამულზედ მოყვანილისა, ანუ ნაყიდისა იმის-მიერ, ვისაც ქაღალდი შემოაქვს, თუნდაც მემამულისაგან ჰქონდეს ნაყიდი, განუსჯელად აკრძალულია. (3—3)

ხიდ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754 (წ.).

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).